<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

დეოლიგარქიზაციის შესახებ

მუხლი 1. კანონის მიზანი

1. ეს კანონი განსაზღვრავს სამართლებრივ საფუძვლებს ისეთი სისტემის ფუნქციონირებისთვის, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირთა (ოლიგარქთა) გადამეტებულ გავლენასთან დაკავშირებული საფრთხეების თავიდან აცილება, აგრეთვე ადგენს ამ პირთა წინააღმდეგ მიმართულ აღსრულების ღონისძიებათა შინაარსსა და პროცედურას.

2. ამ კანონის მიზანია პოლიტიკოსთა, მედიისა და მსხვილი ბიზნესის შერწყმის შედეგად წარმოშობილი ინტერესთა კონფლიქტის დაძლევა, პოლიტიკური ძალის გამოყენებით ქონების გაზრდის თავიდან აცილება, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საინფორმაციო სფეროებში საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ადამიანის ძირითადი უფლებების, დემოკრატიისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ბენეფიციარი – ფიზიკური პირი, რომელიც იურიდიულ პირში პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს წილს ან ხმის უფლებას, დაკავშირებული ფიზიკური ან იურიდიული პირის მეშვეობით გავლენას ახდენს იურიდიული პირის მართვაზე ან აქტივების კონტროლის, ფლობის, გამოყენების ან განკარგვის უფლების მეშვეობით შეუძლია იურიდიული პირის საქმიანობიდან მიიღოს შემოსავალი; აგრეთვე პირი, რომელსაც შეუძლია გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს იურიდიული პირის პარტნიორების/წევრების დაკომპლექტებაზე, მმართველი ორგანოების კენჭისყრის შედეგებსა და გარიგებების დადებაზე, რაც იძლევა იურიდიული პირის ეკონომიკური აქტივობების ძირითადი პირობების განსაზღვრისა და იმ სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, რომელთაც იურიდიული პირის საქმიანობაზე გადამწყვეტი გავლენა აქვს;

ბ) მასობრივი ინფორმაციის საშუალება – ნებისმიერი ბეჭდური მედია საშუალება, ინტერნეტ მედია საშუალება, საინფორმაციო სააგენტო, ტელემაუწყებლობის ან რადიომაუწყებლობის სფეროში მოქმედი ნებისმიერი საინფორმაციო ბიზნეს სუბიექტი;

გ) ინტერნეტ მედია საშუალება – მასობრივი მედია საშუალება, რომელიც ტექსტური, აუდიოვიზუალური ან სხვაგვარი ელექტრონული (ციფრული) ფორმით,

ვებგვერდის მეშვეობით, ინტერნეტში რეგულარულად ავრცელებს ინფორმაციას და რომელსაც აქვს მუდმივი სახელწოდება, როგორც განმასხვავებელი ნიშანი;

დ) მასობრივი ინფორმაციის საშუალების მაკონტროლებელი – პირი, რომელსაც როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ (სხვა პირების მეშვეობით, სადაც ის ბენეფიციარია), შესაძლებლობა აქვს, გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს მასობრივი ინფორმაციის საშუალების მართვაზე ან საქმიანობაზე; აგრეთვე პირი, რომელიც ამგვარ გავლენას ახდენს ბენეფიციარის სტატუსისგან დამოუკიდებლად, ხელშეკრულების საფუძველზე ან სხვა გზით, მათ შორის, დაფინანსების გზით;

ე) დაკავშირებული პირი – პირი, რომელსაც სამეწარმეო საზოგადოებაში პირდაპირ ან არაპირდაპირ წილი (ხმის უფლება) აქვს; აგრეთვე სხვა პირი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის ნორმათა თანახმად დაკავშირებულ პირად მიიჩნევა;

ვ) საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირთა (ოლიგარქთა) რეესტრში შეყვანილი პირის წარმომადგენელი (ოლიგარქის წარმომადგენელი) – ფიზიკური პირი, რომელიც რეესტრში შეყვანილი პირის სახელით ან/და ინტერესის შესაბამისად მართავს შეხვედრებს (საუბრებს), ტელეფონით ან სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებით აწარმოებს საჯარო მოსამსახურეებთან კომუნიკაციას;

ზ) საჯარო მოსამსახურე – ამ კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირი.

2. ამ კანონში გამოყენებულ სხვა ტერმინებს ამ კანონის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „ტელემაუწყებლობის ან რადიომაუწყებლობის სფეროში მოქმედი საინფორმაციო ბიზნეს სუბიექტი“ – განიმარტება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ბ) „ბეჭდური მედია საშუალება“ – განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) „საინფორმაციო სააგენტო“ – განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) „საბოლოო ბენეფიციარი“ – განიმარტება „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 3. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირი (ოლიგარქი)

1. ფიზიკური პირი, რომელიც შემდეგი კრიტერიუმებიდან სულ მცირე 3 მათგანს ერთდროულად აკმაყოფილებს, ამ კანონის მიზნებისთვის მიიჩნევა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირად (ოლიგარქად):

ა) ის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობს;

ბ) ის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს;

გ) ის არის იმ მეწარმე იურიდიული პირის საბოლოო ბენეფიციარი, რომელსაც ამ მუხლის ამოქმედების შემდეგ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა უკავია, და რომელიც ამ მდგომარეობას 1 წლის განმავლობაში ინარჩუნებს ან აუმჯობესებს;

დ) მისი და იმ მეწარმე იურიდიული პირების აქტივების დადასტურებული ოდენობა, სადაც ის ბენეფიციარია, შესაბამისი წლის 1 იანვრის მდგომარეობით 1000000-ჯერ აღემატება შრომისუნარიანი პირებისთვის დადგენილ საარსებო მინიმუმს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებული აქტივების ღირებულება გამოითვლება იმ პირისა და იმ მეწარმე სუბიექტების აქტივების საერთო ღირებულებით, სადაც ის ბენეფიციარია. ის აქტივები, რომელთაც პირი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ფლობს, ზემოაღნიშნული აქტივების ღირებულების გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება.

მუხლი 4. პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა

ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის მიიჩნევა, რომ პირი აკმაყოფილებს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კრიტერიუმებს, თუ:

ა) იგი არის საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ან მოადგილე, საქართველოს პარლამენტის სხვა წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, საქართველოს ვიცე-პრემიერი, მინისტრი, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოს ის ხელმძღვანელი, რომელიც არ შედის საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, საქართველოს გენერალური პროკურორი, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ან საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული ორგანოს ხელმძღვანელი, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე;

ბ) იგი არის ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირის „ოჯახის წევრი“ ან „ახლო ნათესავი“ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ან მასთან დაკავშირებული პირი;

გ) მას პოლიტიკური პარტიის მართვის ორგანოში თანამდებობა უკავია;

დ) მან დააფინანსა პოლიტიკური პარტიის აქტივობები, პოლიტიკური კამპანია ან პოლიტიკური მოთხოვნების მქონე შეკრება ან დემონსტრაცია.

შენიშვნა: პოლიტიკური პარტიის აქტივობების, პოლიტიკური კამპანიის ან პოლიტიკური მოთხოვნების მქონე შეკრების ან დემონსტრაციის დაფინანსებად მიიჩნევა შემდეგი ქმედებებიდან სულ მცირე ერთის განხორციელება: პოლიტიკური პარტიის მიმართ ან მხარდასაჭერად შემოწირულების გაღება; პოლიტიკური კამპანიის მონაწილეების, მათი ოჯახის წევრების ან პოლიტიკური მოთხოვნების მქონე

შეკრებებისა და დემონსტრაციების სასარგებლოდ თანხის გაღება, სამუშაოს შესრულება, საქონლის ან მომსახურების მიწოდება; პოლიტიკური კამპანიების მონაწილეების, პოლიტიკური მოთხოვნების მქონე შეკრებების ან დემონსტრაციების შენობა-ნაგებობებით, აღჭურვილობით, კამპანიის მასალებით უზრუნველყოფა ან მათთვის სხვაგვარი ტექნიკური ან ორგანიზაციული დახმარების გაწევა; საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სარეფერენდუმო კამპანიის დაფინანსება, კანონის შესაბამისად პოლიტიკური რეკლამის დაფინანსება; ამ შენიშვნით გათვალისწინებული ქმედების განხორციელება იმ პირის მიერ, რომელიც დაკავშირებულია იმ პირთან, რომელიც პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კრიტერიუმს აკმაყოფილებს, ან აღნიშნული ქმედების განხორციელება ისეთი იურიდიული პირის მიერ, რომელშიც ასეთი პირი საბოლოო ბენეფიციარია.

მუხლი 5. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მნიშვნელოვანი გავლენა

1. ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის მიიჩნევა, რომ პირი აკმაყოფილებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მნიშვნელოვანი გავლენის კრიტერიუმს, თუ:

ა) იგი არის მასობრივი ინფორმაციის საშუალების/მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მესაკუთრე (დამფუძნებელი) ან მასობრივი ინფორმაციის საშუალების/მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მესაკუთრის (დამფუძნებლის) ბენეფიციარი;

ბ) იგი არის მასობრივი ინფორმაციის საშუალების/მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მესაკუთრის (დამფუძნებლის) მაკონტროლებელი;

გ) იგი ამ კანონის ამოქმედების დღისთვის იყო მასობრივი ინფორმაციის საშუალების/მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მესაკუთრე (დამფუძნებელი) ან მასობრივი ინფორმაციის საშუალების/მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ბენეფიციარი ან მესაკუთრის (დამფუძნებლის) მაკონტროლებელი, მაგრამ მან ეს სტატუსი ამ მუხლის ამოქმედებამდე დაკარგა, რის შედეგადაც, მასობრივი ინფორმაციის ამგვარი საშუალების მესაკუთრე (დამფუძნებელი), ბენეფიციარი ან მესაკუთრის (დამფუძნებლის) მაკონტროლებელი გახდა დაკავშირებული პირი ან ის პირი, რომელსაც ამ კანონის მე-11 მუხლის თანახმად უმწიკვლო საქმიანი რეპუტაცია არ გააჩნია.

მუხლი 6. პირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირად (ოლიგარქად) ცნობა

1. პირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირად (ოლიგარქად) ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობის, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წევრის, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კონკურენციის ეროვნული

სააგენტოს, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს პარლამენტის კომიტეტის ან საპარლამენტო ფრაქციის ინფორმაციის საფუძველზე იღებს საქართველოს პარლამენტი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება ქვეყნდება საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე და ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

3. საქართველოს პარლამენტის აპარატმა საქართველოს პარლამენტის კომიტეტის იმ სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, სადაც პირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირად (ოლიგარქად) ცნობა განიხილება, ამ პირს მისი რეგისტრაციის ადგილზე უნდა გაუგზავნოს აღნიშნული სხდომის გამართვის შესახებ შეტყობინება. ამ შეტყობინებაში უნდა მიეთითოს ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული იმ კრიტერიუმების თაობაზე, რომლებიც აღნიშნულ პირს მიემართება. ამ პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინება მისი გაგზავნის შემდეგ ქვეყნდება საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე.

4. პირს, რომელმაც ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინება მიიღო ან რომელიც ამ შეტყობინებას საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გაეცნო, უფლება აქვს, საქართველოს პარლამენტის კომიტეტის იმ სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, სადაც მისი საკითხი განიხილება, საქართველოს პარლამენტის აპარატს წარუდგინოს პერსონალური წერილობითი განმარტებები და საკითხთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები. პირის მოთხოვნის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის აღნიშნულმა კომიტეტმა სხდომაზე უნდა მოისმინოს მისი პერსონალური ზეპირი განმარტებები.

5. თუ პირს არ მიუღია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინება, არ წარუდგენია პერსონალური წერილობითი განმარტებები და საკითხთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები, უარი აქვს ნათქვამი საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის სხდომაზე ზეპირი განმარტებების გაცემაზე ან არ დასწრებია (მათ შორის, საპატიო მიზეზით) კომიტეტის აღნიშნულ სხდომას, ეს არ განეკუთვნება საქართველოს პარლამენტის ან საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის მიერ პირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირად (ოლიგარქად) ცნობის საკითხის განხილვის გადადების ან საკითხის განუხილველად დატოვების საფუძველს.

მუხლი 7. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირთა (ოლიგარქთა) რეესტრი

1. პირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირად (ოლიგარქად) ცნობის შესახებ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება არის ამ პირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირთა (ოლიგარქთა) რეესტრში (შემდგომ – რეესტრი) შეყვანის საფუძველი.

2. რეესტრი არის იმ პირების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებისა და წარმოებისთვის შექმნილი საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემა, რომლებსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ წონა აქვთ (ოლიგარქები) ან რომლებიც წარადგენენ დეკლარაციას საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირებთან (ოლიგარქებთან) ან მათ წარმომადგენლებთან კონტაქტის თაობაზე (შემდგომ – კონტაქტების დეკლარაცია). რეესტრის მიზანია ამ პირთა შესახებ ინფორმაციისა და მათ მიმართ აღსრულების ღონისძიებების გამოყენების თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

3. რეესტრთან დაკავშირებულ წესებს, მათ შორის, მისი შექმნისა და წარმოების წესებს, ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. რეესტრის შექმნასა და წარმოებას უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის აპარატი. საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს რეესტრში განთავსებულ ინფორმაციაზე უფასო ხელმისაწვდომობა, მათ შორის, მისი გაცნობის, ასლის გაკეთებისა და ამობეჭდვის შესაძლებლობა, და მონაცემების რეესტრში ელექტრონულად იმ ფორმით განთავსება, რომელიც მათი ხელახალი გამოყენების მიზნით ავტომატიზებული ელექტრონული დამუშავების (მანქანური წაკითხვის) შესაძლებლობას იძლევა.

4. რეესტრში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია:

ა) პირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირად (ოლიგარქად) ცნობის შესახებ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ამ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად დასაბუთება;

ბ) საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირის (ოლიგარქის) გვარი, სახელი და მამის სახელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირთან (ოლიგარქთან) ან მის წარმომადგენელთან კონტაქტების დეკლარაციები;

დ) პირის რეესტრიდან ამორიცხვის შესახებ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება და იმ გარემოებათა დასაბუთება, რომელთა საფუძველზედაც ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული;

ე) იმ იურიდიულ პირთა ჩამონათვალი, სადაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირი (ოლიგარქი) საბოლოო ბენეფიციარია;

ვ) ამ კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ იმ პირთა ჩამონათვალი, რომელთა საარჩევნო ფონდში ან რომელთა წარმდგენი პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ფონდში ბოლო 3 წლის განმავლობაში შემოწირულება გაიღო საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირმა (ოლიგარქმა).

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია რეესტრში შეტანილ უნდა იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3

კალენდარული დღის ვადაში და ამავე ვადაში უნდა გაეგზავნოს იმ პირს, რომლის მიმართაც ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

მუხლი 8. პირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირად (ოლიგარქად) ცნობის სამართლებრივი შედეგები

1. პირს, რომელსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონა აქვს (ოლიგარქი) და შეყვანილია რეესტრში, ეკრძალება:

ა) „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად პოლიტიკური პარტიების მხარდასაჭერად თავისი სახსრებიდან შემოწირულებების გაღება, სამუშაოს შესრულება, საქონლის, მომსახურების ან ნაღდი ფულის მიწოდება, დაკავშირებული პირების მეშვეობით ან/და ისეთი იურიდიული პირების მეშვეობით, სადაც ის საბოლოო ბენეფიციარია, სამუშაოს შესრულება, საქონლის ან მომსახურების მიწოდება; აგრეთვე საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად კანდიდატების საარჩევნო ფონდში (გარდა თავისი საარჩევნო ფონდისა) შემოწირულებების გაღება და საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას პოლიტიკური პარტიების დაფინანსება;

ბ) ფართომასშტაბიანი ობიექტების პრივატიზაციის პროცესში იყოს მყიდველი (მყიდველის ბენეფიციარი);

გ) ნებისმიერი პოლიტიკური კამპანიის დაფინანსება, პოლიტიკური მოთხოვნების მქონე შეკრებების ან დემონსტრაციების გამართვა.

2. პირი, რომელიც ცნობილია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირად (ოლიგარქად), ვალდებულია, რეესტრში შეყვანისთანავე „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.

3. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირად ცნობილ პირთან (ოლიგარქთან) დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირებთან (ოლიგარქებთან) ან მათ წარმომადგენლებთან კონტაქტების დეკლარაცია

1. საჯარო მოსამსახურესა და რეესტრში შეყვანილ პირს/მის წარმომადგენელს შორის კონტაქტის შემთხვევაში ეს საჯარო მოსამსახურე ვალდებულია წარადგინოს კონტაქტების დეკლარაცია.

2. ამ მუხლის მიზნებისთვის, რეესტრში შეყვანილ პირთან/მის წარმომადგენელთან კონტაქტი გულისხმობს შეხვედრას და საუბარს (მათ შორის, ელექტრონული ფორმით), ტელეფონით ან სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებით კომუნიკაციას, მიუხედავად მისი შინაარსისა, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. რეესტრში შეყვანილი პირები და მათი წარმომადგენლები საჯარო მოსამსახურეებთან შეხვედრამდე (საუბრამდე),

ტელეფონით ან სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებით კომუნიკაციამდე ვალდებული არიან, წინასწარ გააფრთხილონ საჯარო მოსამსახურეები იმის შესახებ, რომ ისინი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირები რეესტრში არიან შეყვანილი.

3. კონტაქტების დეკლარაციის წარდგენა არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ საჯარო პირსა და რეესტრში შეყვანილ პირს/მის წარმომადგენელს შორის კონტაქტი შედგა შემდეგ ადგილას:

ა) ოფიციალურ ღონისძიებებზე, რომელთა მიმდინარეობა საჯაროდ ხელმისაწვდომ რეჟიმში პირდაპირი ეთერით გადაიცემა რადიოს, ტელევიზიის ან ინტერნეტის მეშვეობით;

ბ) სასამართლო სხდომაზე;

გ) საქართველოს ხელისუფლების ორგანოთა ინიციატივით გამართულ ოფიციალურ ღონისძიებებზე (კონფერენციებზე), თუ არსებობს მონაწილეთა სრული ჩამონათვალისა და განსახილველი საკითხების შესახებ ინფორმაცია და ეს ინფორმაცია განთავსებულია ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. კონტაქტების დეკლარაცია წარდგენილ უნდა იქნეს ელექტრონული ფორმით, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე, რეესტრში შეყვანილ პირთან/მის წარმომადგენლებთან კონტაქტის დღეს ან კონტაქტის მომდევნო დღეს. კონტაქტების დეკლარაციის ფორმა განისაზღვრება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირთა (ოლიგარქთა) რეესტრის დებულებით.

5. კონტაქტების დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება ვრცელდება შემდეგ პირებზე:

ა) საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ან მოადგილე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, საქართველოს ვიცე-პრემიერი, მინისტრი, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, საქართველოს გენერალური პროკურორი, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი;

ბ) მოსამართლე;

გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული ორგანოს ხელმძღვანელი, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე;

დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე და სხვა წევრები, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, იმავე სააგენტოს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამოვლენისა და აღკვეთის სამმართველოს თანამშრომლები, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს თავმჯდომარე და სხვა წევრები, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და

აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და სხვა წევრები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და სხვა წევრები, სხვა სახელმწიფო კოლეგიურ ორგანოთა ხელმძღვანელები და წევრები;

ე) ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანი;

ვ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტის) დირექტორი, მისი მოადგილე, საქართველოს გენერალური პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს უფროსი, მისი მოადგილე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე;

ზ) საქართველოს სახალხო დამცველი;

თ) პირველი და მეორე რანგის საჯარო მოხელეები;

ი) სახელმწიფო რწმუნებული, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე;

კ) უმაღლესი ოფიცრის სამხედრო წოდების მქონე პირი;

ლ) სამართალდამცავი ორგანოს ხელმძღვანელი, სხვა ორგანოს ის თანამშრომელი, რომელსაც მინიჭებული აქვს უმაღლესი სახელმწიფო სპეციალური წოდება;

მ) საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, მისი მოადგილე, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი, საქართველოს პრეზიდენტის სამდივნოს თანამშრომელი, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომელი, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის თანამშრომელი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის თანამშრომელი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების სამდივნოთა თანამშრომლები, საპარლამენტო ფრაქციებისა და საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფების აპარატების თანამშრომლები, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, სამინისტროს აპარატის უფროსი, საქართველოს პარლამენტის წევრის თანაშემწე, მოსამართლის თანაშემწე, საქართველოს ხელისუფლების სხვა ორგანოთა იურიდიული სამსახურების თანამშრომლები. ეს ქვეპუნქტი ვრცელდება ყველა ზემოაღნიშნულ პირზე (მიუხედავად იმისა, ასრულებს თუ არა ის ანაზღაურებად საქმიანობას), თუ მის მიერ დაკავებული თანამდებობა შეტანილია შესაბამისი ორგანოს საშტატო ნუსხაში.

ნ) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს ხელმძღვანელი, სადაც სახელმწიფოს საკუთრებაში წილის/აქციების 50%-ზე მეტია.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული კონტაქტების დეკლარაციის წარდგენის ვალდებულების დარღვევა პირისთვის პოლიტიკური ან/და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. რეესტრში შეყვანილი პირის/მისი წარმომადგენლის მიერ შეტყობინების ვალდებულების დარღვევა არ ათავისუფლებს საჯარო მოსამსახურეს კონტაქტების დეკლარაციის წარუდგენლობის გამო მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისაგან.

7. კონტაქტების დეკლარაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) კონტაქტების დეკლარაციის წარმდგენი პირის ვინაობა;

ბ) რეესტრში შეყვანილი პირის/მისი წარმომადგენლის ვინაობა, რომელთანაც კონტაქტი შედგა;

გ) შეხვედრის (საუბრის) თარიღი და ადგილი, ინფორმაცია იმის შესახებ, კომუნიკაცია შედგა ტელეფონით თუ სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებით, შეხვედრის შეჯამება.

მუხლი 10. გადაწყვეტილება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირის (ოლიგარქი) რეესტრიდან ამორიცხვის შესახებ

1. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირის (ოლიგარქის) რეესტრიდან ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ პირი ერთდროულად არ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სულ მცირე 2 კრიტერიუმს. ამ მიზნისთვის არ მიიჩნევა, რომ პირი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მნიშვნელოვან გავლენას აღარ ახდენს, თუ შესაბამისი მასობრივი ინფორმაციის საშუალების ბენეფიციარის (მაკონტროლებლის) სტატუსი რეესტრში შეყვანილი პირისაგან გადაეცა დაკავშირებულ პირს ან იმ პირს, რომელსაც ამ კანონის მე-11 მუხლის თანახმად უმწიკვლო საქმიანი რეპუტაცია არ გააჩნია.

2. პირი, რომელსაც მასობრივი ინფორმაციის საშუალების ბენეფიციარის (მაკონტროლებლის), მესაკუთრის (დამფუძნებლის) ბენეფიციარის (მაკონტროლებლის) სტატუსი ამ კანონის ამოქმედების შემდეგ გადაეცა (შემდგომ – მყიდველი), არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირად (ოლიგარქად), თუ იგი ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს ფორმალურად აკმაყოფილებს, მაგრამ:

ა) ის ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა ამ კანონის ამოქმედების შემდეგ, მასობრივი ინფორმაციის საშუალების მესაკუთრის (დამფუძნებლის), მესაკუთრის (დამფუძნებლის) ბენეფიციარის (მაკონტროლებლის) სტატუსის მიღების შედეგად;

ბ) მყიდველს აქვს უმწიკვლო საქმიანი რეპუტაცია.

3. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირის (ოლიგარქის) რეესტრიდან ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება პირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირად (ოლიგარქად) ცნობისთვის ამ კანონის მე-6 მუხლით დადგენილი წესით.

4. საქართველოს პარლამენტმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირის (ოლიგარქის) რეესტრიდან ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება ასევე მიიღოს რეესტრში შეყვანილი პირის განცხადების და მის მიერ წარდგენილი დოკუმენტებისა და ინფორმაციის

საფუძველზე, რომლებითაც დასტურდება, რომ იგი აღარ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.

მუხლი 11. უმწიკვლო საქმიანი რეპუტაცია

1. მყიდველი უმწიკვლო საქმიანი რეპუტაციის მქონე პირად მიიჩნევა, თუ მას არ ესადაგება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული არცერთი კრიტერიუმი.

2. ფიზიკური პირის ნაკლოვანი საქმიანი რეპუტაციის განმსაზღვრელი კრიტერიუმები, რომლებიც დაკავშირებულია კანონისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან, შემდეგია:

ა) ნასამართლობის ქონა, რომელიც არც მოხსნილა და არც გაქარწყლებულა კანონით დადგენილი წესით;

ბ) საქართველოს, სხვა სახელმწიფოების (გარდა საქართველოს წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესიის განმახორციელებელი სახელმწიფოებისა), მთავრობათაშორისი გაერთიანებების ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ პირისთვის სანქციების დაწესება, თუ სანქციები კვლავ ძალშია ან მათი მოხსნიდან ან მოქმედების ვადის გასვლიდან არ გასულა 3 წელი;

გ) პირის ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებულ პირთა სიაში შეყვანა ან საერთაშორისო სანქციებისადმი დაქვემდებარება, თუ პირი კვლავ სიაშია ან მისი სიიდან ამორიცხვიდან არ გასულა 10 წელი;

დ) პირისთვის თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ სასჯელი კვლავ ძალაშია;

ე) პირის მიერ გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდის ვალდებულებების ჯეროვანი შეუსრულებლობა, თუ გადაუხდელი თანხის ოდენობა (მათ შორის, უცხოურ ვალუტაში) ვალდებულების შეუსრულებლობის დროისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ასმაგი ოდენობის ტოლია ან ასმაგ ოდენობას აღემატება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა კვლავ გრძელდება ან მისი შეუსრულებლობიდან არ გასულა 3 წელი;

ვ) მასობრივი ინფორმაციის საშუალების შეძენა ან შეძენის განზრახვა საბაზრო ღირებულებაზე არსებითად დაბალ ფასად ან იმ სახსრებით, რომელთა წარმომავლობა დოკუმენტური მტკიცებულებით არ არის დადასტურებული;

ზ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, საბანკო, საფინანსო, სავალუტო, საგადასახადო, ფინანსური მონიტორინგის, ფასიანი ქაღალდების, სააქციო საზოგადოებებისა და საფონდო ბაზრის სფეროებში პირის მიერ სამართლებრივი ნორმების მოთხოვნათა არსებითი ან/და სისტემატური დარღვევები.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალების მყიდველის (პოტენციური მყიდველის) საქმიანი რეპუტაციის შემოწმების პროცედურას ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

მუხლი 12. გარდამავალი დებულებები

1. პირმა, რომელსაც ამ კანონის მიხედვით კონტაქტების დეკლარაციის წარდგენა მოეთხოვება, ამ პუნქტის ამოქმედებიდან 14 დღეში უნდა წარადგინოს ამ კანონის ამოქმედებიდან ამ პუნქტის ამოქმედებამდე პერიოდში გამართულ შეხვედრასთან (საუბართან), ტელეფონით ან სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებით განხორციელებულ კომუნიკაციასთან დაკავშირებული ამგვარი დეკლარაცია.

2. შესაბამისმა ორგანოებმა და თანამდებობის პირებმა ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყონ ამ კანონის შესასრულებლად საჭირო კანონქვემდებარე აქტების გამოცემა და სათანადო კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი–მე-11 მუხლებისა და მე-12 მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი–მე-11 მუხლები და მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 180-ე დღეს.

3. ეს კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდეს ამ კანონის პირველი–მე-11 მუხლებისა და მე-12 მუხლის პირველი პუნქტის ამოქმედებიდან 10 წლის გასვლისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი